23/05/2025

MES 3 25 0000565609

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს გიჩი - სკოლა ჯეჯილი:
ნინო ჩივაძე - სკოლის დირექტორი;
მაკა ტუკვაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი:
მანანა ჯავაშვილი - ხარისხის ჯგუფის ხელმძღვანელი
შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლა:
ნანა ალექსანდრია - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს გიჩი - სკოლა ჯეჯილი:
ა) მეგი როსტიაშვილი - წიკლაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი:

ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლა:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. საბჭოს სხდომა 2025 წლის 07 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს გიჩი - სკოლა ჯეჯილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს გიჩი - სკოლა ჯეჯილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მეგი როსტიაშვილი-წიკლაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 20 და 21 თებერვალს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 310. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 310 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ქმნიდა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის კეთილგანწყობილ საგანმანათლებლო გარემოს, ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ სკოლის დაარსებიდან ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას და მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათ მიმართ ჰქონდათ ნდობა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მიღებული ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ, ექიმის კაბინეტის ხელსაბანით უზრუნველყოფა, მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესში მასწავლებლის შიდა კონკურსის შერჩევის პროცედურების გამართვა. მისი თქმით, დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა ორივე რეკომენდაცია.
ექსპერტმა, მეგი როსტიაშვილი-წიკლაურმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, გაიცა სხვადასხვა ხასიათის რჩევა, რომელთა დეტალური აღწერაც მოცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დეტალურად ესაუბრა მომავლის ტექნოლოგიების ლაბორატორიასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, ნინო ჩივაძემ, აღნიშნა, რომ ლაბორატორია ითვალისწინებდა პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით გარკვეული ტექნოლოგიების შესწავლას. სკოლას ჰქონდა რობოტები, 3D პრინტერი და ა.შ. აქვე, ექსპერტმა, მეგი როსტიაშვილი-წიკლაურმა დასძინა, რომ მასწავლებლები ინტენსიურად იყენებდნენ მომავლის ლაბორატორიას ინტეგრირებული გაკვეთილების ჩასატარებლად.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს, პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოს წევრებისთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ეკატერინე გავაშელიშვილმა, აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურად მიმართავდნენ პროექტულ სწავლებას, რაც დასტურდებოდა როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე გამოიკვეთა ინტერვიუების პროცესშიც.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა სკოლა თანამშრომლების ხანგრძლივად შენარჩუნებას.
სკოლის დირექტორის, ნინო ჩივაძის განმარტებით, დაწესებულებაში იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, ჯანსაღი გარემო და ჰქონდათ მასწავლებელთა წახალისების სხვადასხვა სისტემა.
საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე, დაინტერესდა, რომელ უცხო ენებს ასწავლიდნენ სკოლაში და როგორი იყო კურსდამთავრებულთა წარმატების მაჩვენებელი.
სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სავალდებულო უცხოური ენა იყო ინგლისური, ხოლო არჩევითი ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული. კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დაწესებულების კურსდამთავრებულებს ჰქონდათ საკმაოდ მაღალი შედეგები ეროვნულ გამოცდებზე და ბევრი მათგანი სწავლას უცხოეთშიც აგრძელებდა.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სახანძრო სიგნალიზაცია.
ექსპერტის, მეგი როსტიაშვილი-წიკლაურის განმარტებით, ამ მიმართულებით დაწესებულება იყო სრულად გამართული და აღჭურვილი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:35
დასრულების დრო - 14:49

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიჩი - სკოლა ჯეჯილის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 310 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს გიჩი - სკოლა ჯეჯილს (ს/კ: 204863077) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 310 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის 15.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის 15.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის 15.

2. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 21 თებერვალს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტის თქმით, ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ცენტრში 2025 წლის 20 იანვარს შესული წერილი, სადაც მოქალაქე მიუთითებდა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალ ვალდორფის სკოლა-ბაღში მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის, დამრიგებლის/კლასის მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობების შესრულების, სწავლების მეთოდებისა და სასწავლო რესურსების გამოყენების შესაძლო დარღვევებზე.
განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფაქტების, საჩივრების განხილვის სისტემის არსებობა;
- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების არსებობა;
- მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის მექანიზმების არსებობა და მისი კანონმდებლობის შესაბამისად მართვა;
- სკოლის მხრიდან მოსწავლეების მიერ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად განსაზღვრული/დეკლარირებული კონსულტირების და მხარდაჭერის მექანიზმების არსებობა და პროცესის შესაბამისად მართვა;
- სკოლის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივად წარმართვის პროცესის, მათ შორის, მოსწავლესთან/ მოსწავლის მშობელთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის მექანიზმის არსებობა და მართვა;
- დამრიგებლის უფლება მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტაციის არსებობა და პროცესის მართვა;
- ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა;
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, განხორციელდა ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან: დირექციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან პირისპირ რეჟიმში, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და განცხადების ავტორთან დისტანციურად, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების გამოყენებით. განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირებით დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტები:

- მოსწავლეებს, კლასის მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში, ტოვებდნენ გაკვეთილების შემდეგ გარკვეული პერიოდით და დამატებით ამეცადინებენ. ამის შესახებ ინტერვიუში განაცხადეს მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დასახელდა ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მშობელი წინასწარ არ იყო გაფრთხილებული/ინფორმირებული მოსწავლის გაკვეთილების შემდეგ დატოვების თაობაზე;
- ეპოქალური სწავლება მიმდინარეობდა მასწავლებლის მიერ წინასწარ დაგეგმილი შინაარსის საფუძველზე. მოსწავლეები ამ შინაარსს ისმენდნენ, ამუშავებდნენ ეპოქის გაკვეთილებზე და აკეთებდნენ ჩანაწერებს.
- გრიფირებული სახელმძღვანელოები როგორც წესი გამოიყენებოდა როგორც ერთ-ერთი დამხმარე რესურსი ეპოქის დასაგეგმად. სახელმძღვანელოს იყენებდა მასწავლებელი.
- გაკვეთილზე ახსნილ მასალას მოსწავლეები სახლში კიდევ ამუშავებდნენ და მეორე დღეს განიხილავდნენ გაკვეთილზე;
- მოსწავლის კლასიდან პარალელურ კლასში გადაყვანისათვის სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული კონკრეტული წესი. ინტერვიუს დროს დამრიგებელმა და ასევე მართვის ორგანოს წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის კლასიდან პარალელურ კლასში გადაყვანის გადაწყვეტილებას იღებდა „მიმღები“ დამრიგებელი;

განმცხადებელს სკოლაში საჩივარი წერილობითი ფორმით (როგორც ამას ითვალისწინებს ა(ა)იპ „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღი“ - ს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი) არ წარუდგენია, მხოლოდ სიტყვიერად მიმართა ბიუროს. განმცხადებლის განმარტებით დისციპლინურ საბჭომდე საკითხი განსახილველად არ მისულა, თუმცა სკოლას კომუნიკაცია მის მოთხოვნასთან დაკავშირებით ჰქონდა.

ექსპერტმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რატომ ჰქონდა სკოლას განსაზღვრული 2025 წლის 31 მაისი ყველა რეკომენდაციის შესასრულებლად.
სკოლის წარმომადგენლის, მანანა ჯავაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში გარკვეული ღონისძიებები და პროცედურები ხორციელდებოდა, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს აღნიშნული არ იყო დოკუმენტურად გაწერილი. მისი თქმით, მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ხარვეზი მეტწილად აღმოფხვრილი იყო, რჩებოდა მხოლოდ 10 მასწავლებელი, რომელიც ვერ დარეგისტრირდა მასწავლებელთა გამოცდაზე, მათგან ორი მასწავლებელი ახალი სასწავლო წლიდან აღარ გააგრძელებდა სწავლებას, ხოლო რვა გახდა მოწვეული მასწავლებელი. მისი განმარტებით, გარკვეული დოკუმენტაციის შექმნას ესაჭიროებოდა დრო და ამ მიზნით განსაზღვრეს 31 მაისი, თუმცა, საბჭოს ჩატარების დროისთვის ყველა დოკუმენტი ჰქონდათ მოწესრიგებული. აქვე, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სავალდებულო საგნად ისწავლებოდა სპილენძის დამუშავება, სადურგლო საქმე და ა.შ.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ რეგულირდებოდა მოსწავლესთან დამატებითი მუშაობა, ასევე, დაინტერესდა, რა მიდგომა ჰქონდათ მასწავლებლებს ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით.
სკოლის წარმომადგენელმა, მანანა ჯავაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა რემედიაციის წესი და მასწავლებლებს ჰქონდათ ინდივიდუალური მიდგომები მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში, მისი თქმით, თითოეული მშობელი იყო ინფორმირებული აღნიშნულთან დაკავშირებით. ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ყოველკვირეულად ტარდებოდა პედაგოგიური კონფერენცია და განიხილებოდა ყველა საკითხი, როგორც ტექნიკური, ასევე, შინაარსობრივი.
საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, საბჭოსთვის მეტი დეტალი გაეცნო ეპოქალურ სწავლებასთან დაკავშირებით.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, 1-ელი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით ხორციელდებოდა ეპოქალური სწავლება, კერძოდ, დილის 09:00 საათზე სწავლება იწყებოდა ეპოქის გაკვეთილით და აღნიშნული მასწავლებელს აძლევდა შესაძლებლობას მეტად სიღრმისეულად ესწავლებინა საგანი.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან/სტატუსთან დაკავშირებით გაევლოთ კონსულტაციები სხვადასხვა შესაბამის ორგანიზაციასთან.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:24
დასრულების დრო 15:46

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოების ვადების გათვალისწინებით, აღნიშნული სკოლის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს ჩატარების დღე, 2025 წლის 07 მაისი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის (ს/კ: 203827083) მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 07 მაისი.

3. შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 23 დეკემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას წარმოადგენდა სტრატეგიული გეგმის გაზიარების ორიგინალური მექანიზმის არსებობა. კერძოდ, სკოლის შესასვლელი დერეფანის მთელს კედელზე წარმოდგენილი იყო სკოლის მიერ განხორციელებული SWOT ანალიზი და შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმის

ამგვარი გაზიარებით უზრუნველყოფილი იყო მისი ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მისი თქმით, აღნიშნული მეთოდით გაზიარება ხაზს უსვამდა სასკოლო მართვის პროცესების გამჭვირვალობას და სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის ღიაობას. ასევე, ხელს უწყობდა მოსწავლეებისა მშობლების ინფორმირებულობას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ და სკოლის კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნებოდა გამჭვირვალობას, თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. ხაზს უსვამდა იმას, რომ სკოლა ორიენტირებული იყო განითარებაზე და წარმატებაზე და აუმჯობესებდა სკოლის იმიჯს საზოგადოების თვალში.
ექსპერტის, ია ქურიძის, თქმით, ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:
● მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება, მათ შორის, უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება;
● მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმების არსებობა და მათი განხორციელება;
● აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლის მხირდან სათანადო კონსულტაციისა და მხარდაჭერის სისტემის არსებობა;
● კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
● ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსებობა;
● პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა;
● საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივად წარმართვა;
● სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმების და საჩივრების განხილვის სისტემის არსებობა;
● სკოლის საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა.

ექსპერტმა, ია ქურიძემ, განმარტა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა 2024 წლის 27 ნოემბერს ცენტრში შესული განცხადება ზოგადსაგნამანათლებლო დაწესებულება შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლაში (ყოფილი შპს გიმნაზია) მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. განმცხადებელს წარმოადგენდა სკოლის ყოფილი მოსწავლის მშობლის მინდობილი პირი. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სკოლის ყოფილი მოსწავლე, 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ერონული სასწავლო გეგმის მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მიზნით (მე-11 კლასი) რეგისტრირებულ იქნა სპეციალურ პროგრამაში. განმცხადებელი უთითებდა, რომ იმ ფონზე, როცა დედა და შვილი, ბავშვზე გადამხდარი მოვლენების გამო იყვნენ სტრესში, დედა იძულებით მიიყვანეს სკოლაში და ისე დააწერინეს განცხადება, რომ შინაარსი მისთვის უცნობი იყო. განმცხადებელი, ასევე, უთითებდა რომ სკოლის მხრიდან მიწოდებულ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნატის ფორმით დასაძლევი გამოცდების განრიგი სოციალური ქსელის მეშვეობით, სკოლის თანამშრომლის მიერ, დასურათებული სახით და არა ბრძანებით დამტკიცებული, რასაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება'' (შემდგომში - ექსტერნის დებულება). განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ განრიგის თანახმად, 10 საგანი ფორმალურად იყო გადანაწილებული 4 დღეზე, თუმცა

რეალურად განაწილდა 2 დღეზე. განმცხადებელი თვლიდა, რომ აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ექსტერნის დებულების მოთხოვნებს, კერძოდ, მე-7 მუხლის თანახმად, განრიგი შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ექსტერნატის გამოცდის ჩატარების ვადებში ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესაძლებლობა. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ გარდა დებულების დარღვევისა, აღნიშნული, ასევე, ეწინააღმდეგებოდა სკოლის ბრძანებით დამტკიცებულ განრიგს, რომელიც 4 დღეს ითვალისწინებდა, თუმცა, დირექტორის მიერ გამოცდები რეალურად 2 დღეზე განაწილდა. განცხადებაში, ასევე, აღნიშნული იყო, რომ სკოლა ფლობდა ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რაც ბავშვს ბოლო პერიოდში გადახდა და რითაც იყო გამოწვეული მისი გაცდენები სასწავლო წლის განმავლობაში. განცხადებას თან ერთვოდა ფოთის რაიონული პროკურატურისა და ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობები.

ექსპერტის, ია ქურიძის, განმარტებით, სკოლის დირექციამ განაცხადა, რომ მათთვის ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა მაისის თვეში, თუმცა არა მოსწავლის მშობლის ან ოჯახის წევრებისგან, არამედ გარე წყაროებიდან. საგულისხმო იყო, რომ მოსწავლის სისტემატიურ გაცდენებს ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ფაქტამდეც. რაც შეეხება მოსწავლის დაზარალებულად ცნობის ფაქტს, აღნიშნული სკოლისთვის ცნობილი გახდა 2024 წლის 03 სექტემბერს მშობლის განცხადების საფუძველზე, შესაბამისი ცნობების წარმოდგენის შემდგომ.

განმცხადებელი, ასევე აღნიშნავდა, რომ სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს არ გააჩნდა ელექტრონული ჟურნალი. სკოლამ ელექტრონული ჟურნალი აამოქმედა სასწავლო წლის ბოლოს, მაისი-ივნისის თვეში და სწორედ მაშინ მოხდა „არების“ დაფიქსირება

ექსპერტის თქმით, განმცხადებელი უთითებდა, რომ მასწავლებლები არ სარგებლობდნენ ელექტრონული ჟურნალით, 2023-2024 სასწავლო წელს არცერთი მშობელი არ იყენებდა ელექტრონულ ჟურნალს. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მშობელმა გამოითხოვა ელექტრონული ჟურნალიდან ამონაწერი, რის საფუძველზეც დადგინდა გაცდენების რაოდენობა. თუმცა სკოლამ ასლი დედანთან შესაბამისობაში ვერ წარმოადგინა და დირექტორმა თავისი ხელით შედგენილი და ჩაწერილი „არები“ გამოაგზავნა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წელს მოქმედი ელექტრონული ჟურნალის მონაცემები excel-ის ცხრილით, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ელექტრონული ჟურნალით სკოლა სარგებლობდა 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად. აღნიშნულის დასტურად სკოლამ ასევე წარმოადგინა ელექტრონული ჟურნალის პროგრამის შესყიდვის თაობაზე შპს ,,Edu Page''-თან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დათარიღებული იყო 2021 წლის 21 აგვისტოთი და მოქმედებდა 2024 წლის 01 აგვისტომდე, იქამდე, ვიდრე ახალ შემსრულებელთან არ გააფორმა სკოლამ ხელშეკრულება.

ასევე, განცხადებაში მოცემული იყო, რომ მოსწავლის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო იგი დასწრებოდა საგაკვეთილო პროცესს. რეფერირების წესი და მოქმედი კანონმდებლობა კი სკოლას ავალდებულებდა მოსწავლის გაცდენები ჩაეთვალა საპატიოდ. განმცხადებელი ასევე წერდა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული იყო მიზეზები, რომლის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილი იყო მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენა ჩაეთვალა საპატიოდ. კერძოდ, საპატიოდ ჩაითვლება გაცდენა, რომელიც გამოწვეულია: მოსწავლის ავადმყოფობით, სამედიცინო გამოკვლევებით, მოსწავლის ვალდებულებით გამოცხადდეს ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 21 ნოემბრამდე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა გაცდენების საპატიოდ ჩათვლას, თუმცა არა იმ საფუძვლით, რასაც განმცხადებელი უთითებდა, არამედ, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე მონაწილეობას იღებდა ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში. ამ შემთხვევაში ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის

წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დირექტორის უფლებამოსილებას მიეღო გადაწყვეტილება კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის პირობების გაუვრცელებლობის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა მოსწავლის გაცდენების საპატიოდ ჩათვლას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2023 წლის 21 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმა აღარ ითვალისწინებდა გაცდენების საპატიოდ ჩათვლის რეგულაციას და საფუძვლებს. არც რეფერირების წესი და არც სხვა მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სკოლის არც უფლებამოსილებას და არც ვალდებულებას რაიმე საფუძვლით გაცდენების საპატიოდ ჩათვლასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი ასევე უთითებდა, რომ მშობლის მიერ სკოლაში 2024 წლის 13 სექტემბერს წარდგენილი იყო ადმინისტრაციული საჩივარი. საჩივრით მოთხოვნილ იქნა ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ბრძანებების ბათილად ცნობა და მოსწავლის გაცდენების საპატიოდ ჩათვლა. ამასთან, ზოგადი ადმინისტარციული კოდექსით დადგენილი წესით მოთხოვნილ იქნა მშობლის, როგორც დაინტერესებული მხარის, საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევა/ჩართვა, რაზეც განმცხადებელი უთითებდა, რომ სკოლას აღნიშნული არ განუხორციელებია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა სკოლის მიერ საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დადგინდა, რომ სკოლას ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია სკოლის შიდა საჩივრის განხილვის პროცედურისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სკოლამ ჩუმად მოიწვია მშობელთა კრება მშობლის (იგულისხმება განმცხადებლის მარწმუნებელი) გაფრთხილების გარეშე და კრებაზე განიხილა ბავშვის მდგომარეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ამავე კლასის მშობლებთან და კლასის დამრიგებელთან ცალ-ცალკე ჩატარდა ინტერვიუ, რომლის დროსაც მათ არ დაადასტურეს მშობელთა კრებაზე რაიმე სახის პირადი თუ პერსონალური ინფორმაციის განხილვის/გამჟღავნდების ფაქტი.

განცხადებაში ასევე, მოცემული იყო, რომ მშობელმა სკოლას კვლავ მიმართა წერილით 2024 წლის 4 ოქტომბერს, რაზეც სკოლას პასუხი არ გაუცია, მშობლის წარმომადგენელს კი სატელეფონო საუბარში განუცხადა, რომ პასუხს აუცილებლად გაუგზავნიდა. სკოლის დირექციამ დაადასტურა, რომ მას მშობლის 2024 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაზე პასუხის არ გაუცია, რითაც დაარღვია განცხადებაზე რეაგირების ვადები და წესი.

ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

● სრულად აღმოიფხვრა ხარვეზი მე-3 სტანდარტის 3.6.3.5 კომპონენტთან და მე-4 სტანდარტის 4.1.2.1 კომპონენტთან მიმართებით, რის შედეგადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,შეესაბამება’’;

● მესამე სტანდარტის კომპონენტი 3.4.1.6 შეფასდა როგორც მეტწილად ,,შეესაბამება’’;

● მე-3 და მე-4 სტანდარტების რიგ ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შეფასება უცვლელი დარჩა.

ექსპერტის თქმით, სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული გამომდინარე იქედან, რომ რიგ შემთხვევებში, საჩივრის შინაარსთან მიმართებით სახეზე იყო წარსულში დამდგარი ფაქტები ხარვეზების სახით, რომელთა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გამოსწორებსაც მოცემულ შემთხვევაში არ იყო თავსებადი დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის არსთან და პრინციპებთან. რიგ შემთხვევებში კი არ იქნა წარმოდგენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის საკმარისი მტკიცებულებები. შესაბამისად მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდრატის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რამ გამოიწვია გარკვეული დოკუმენტაციის წარმოების წესის შეფერხება და რა მდგომარეობა იყო პერსონალური მონაცემების დაცვის, ელექტრონული საქმისწარმოების და ზოგადად მეოთხე სტანდართან მიმართებით სკოლაში მიმდინარე პერიოდში.
სკოლის დირექტორმა, ნანა ალექსანდრიამ, აღნიშნა, რომ სკოლამ მარტის დასაწყისში აიყვანა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. მისი თქმით, ის მოსწავლე, რომელსაც ეხებოდა განმცხადებლის საჩივარი ექსტერნატის გამოცდების დასრულების შემდეგ აღარ ირიცხებოდა შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლაში.
აქვე, დასძინა, რომ აღნიშნული მოსწავლე ზედიზედ არ აცდენდა გაკვეთილებს, მისი თქმით, მოსწავლის ბებია იყო ამავე სკოლის მასწავლებელი და გაცდენის შემთხვევაში მუდმივად ჰქონდა მასთან კომუნიკაცია, რის შედეგადაც მოსწავლის წარმომადგენლისგან პასუხად იღებდა, რომ ბავშვი იყო შეუძლოდ. სკოლის დირექტორის თქმით, მას შემდეგ, რაც შეიტყო აღნიშნული ინციდენტის შესახებ, მოახდინა რეაგირება და დაუკავშირდა ბებიას, კომუნიკაციის შემდგომ მოსწავლე 20 მაისს (ბოლო ზარზე) გამოცხადდა სკოლაში, ხოლო მას შემდეგ არ დასწრებია გაკვეთილებს, რის საფუძველზეც ჩაენიშნა ექსტერნის გამოცდები, ჩვეულებისამებრ ჩააბარა აღნიშნული გამოცდები და გადავიდა სხვა სკოლაში. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ფაქტის შემდგომ, მის მიმართ ხორციელდებოდა ზარები და ზეწოლა, რის საფუძველზეც დაწესებულების დირექტორმა მიმართა საჩივრით პროკურატურას.
სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ფსიქოლოგი, ასევე, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ მოსწავლე ცნეს დაზარალებულად, განახორციელა თუ არა რაიმე ღონისძიება.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰყავდა ფსიქოლოგი, თუმცა განსაზღვრული იყო უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეთავსებული ჰქონდა აღნიშნული მიმართულება. მოსწავლის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ დაიწყო საქმის მოკვლევა, თუმცა, ვინაიდან საქმე იყო აღძრული, თვლიდა, რომ მის ჩარევას აზრი არ ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, სკოლას თავიდანვე მიემართა სოციალური სააგენტოსთვის და ეცნობებინა მოსწავლის გაცდენების შესახებ.
განმცხადებელმა თ.ფ-მ აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმებოდა სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ პოზიციას და მისი მხრიდან მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოკითხვა ხშირად არ ხორციელდებოდა.
განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეს არ გაუცდენია გაკვეთილების ის რაოდენობა, რამდენიც ასახული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებაში. აქვე, განმარტა, რომ მოსწავლის წარმომადგენლების მხრიდან არ ხორციელდებოდა არანაირი ზეწოლა დირექტორის მიმართ. მისთვის ბუნდოვანი იყო სკოლის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოსწავლის უფლებების დასაცავად.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ მიმართა განმცხადებელს, დაეზუსტებინა, მისი მოსაზრებით, რა იყო სკოლის დირექტორის მოტივი, რომ სპეციალურად ხელოვნურად გაეზარდა არების რაოდენობა მოსწავლის ჟურნალში.
განმცხადებელმა, აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, სკოლის დირექტორმა სცადა თავიდან აერიდებინა შესაძლო გართულებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, დასძინა, რომ სკოლა, კონკრეტულ შემთხვევაში, გაცდენების დაფიქსირებისას მოქმედებდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:39
დასრულების დრო 17:03

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის (ს/კ: 215147945) მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

2025 წლის დეკემბერში მე-3 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება, კერძოდ, თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესის, კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესის, მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:08 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი